შპს "კავკასუს ონლაინის" წილის 44%-ის „ნელგადო ლიმითედის" მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას 2016 წლის 8 აგვისტოს №01-02/9009 წერილით მიმართა შპს "კავკასუს ონლაინმა" (კომისიაში რეგისტრაციის №6/8108-16, 08.08.2016), შპს "კავკასუს ონლაინის" წილის 44%-ის "ნელგადო ლიმითედის" მიერ შეძენაზე თანხმობის მიღების მოთხოვნით.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, წილის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომლის წილის შეძენაც ხდება.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "კავკასუს ონლაინი" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილების ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

სპილენძის წყვილებით ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

არხული საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.4 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებებს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.5 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური

რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.6 საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა

საკანალიზაციო არხების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.7 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ელექტრონული საკომუნიკაციო ანძების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

საბილინგო მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

სააბონენტო (მომხმარებელთა) მონაცემთა ბაზების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

აბონენტების (ბოლო მომხმარებლების) ინდივიდუალური დაშვების სისტემის საშუალებების (ციფრული ტელევიზიის)ს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით, მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ელექტრონული პაკეტური საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვის საშუალებებით (SIP, H323), მათი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

მონაცემთა დამუშავების ინტერნეტ ცენტრის შესაბამისი ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.S.1 თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

კომუტირებადი არხებით ინტერნეტ მომსახურება (dial-up)

სპილენძის წყვილებით ინტერნეტ მომსახურება (DSL)

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება

WiFi

სხვა

B.F.3 მონაცემთა გადაცემა

მონაცემთა გადაცემა

B.F.4 მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

რადიომაუწყებლობის ტრანზიტი

B.F.6 გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

გამოძახებით აუდიო ვიზუალური მომსახურება (video on demand)

B.S.2 ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

ციფრული მონაცემების გადაცემის მომსახურება თანამგზავრული არხით

B.S.3 თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

თანამგზავრული ინტერნეტ მომსახურება

შპს "კავკასუს ონლაინი" ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას **№F46.**

რადიოსიხშირული სპექტრი:
ა) 5974.85 მჰც ± 14.5 მჰც და 6226.89 მჰც ± 14.5 მჰც;
ბ) 6004.5 მჰც ± 14.5 მჰც და 6256.54 მჰც ± 14.5 მჰც;
გ) 6034.15 მჰც ± 14.5 მჰც და 6286.19 მჰც ± 14.5 მჰც;
დ) 6063.8 მჰც ± 14.5 მჰც და 6315. 84მჰც ± 14.5 მჰც.

შპს "კავკასუს ონლაინი" ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგ ნებართვებს:
საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურების განსახორციელებლად **1-0-0-7** (ერთი-ნული-ნული-შვიდი) და **1-0-5-1** (ერთი-ნული-ხუთი-ერთი);
დეპეშების და ფაქსების ტელეფონით მიღება და სხვა ტელემატიკური მომსახურების განსახორციელებლად **1-7-0-0-6** (ერთი- შვიდი-ნული-ნული-ექვსი).
ამასთან ერთად, შპს ,,კავკასუს ონლაინი" ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის № N319 ნებართვას შემდეგი სანებართვო პირობებით:
ა) ნუმერაციის რესურსი: 706 600 XXX (სულ ათასი სააბონენტო ნომერი) VOIP - ინტერნეტ პროტოკოლით ხმოვანი სატელეფონო კავშირით მომსახურებისთვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის;
ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

შპს „კავკასუს ონლაინის" 2016 წლის 8 აგვისტოს №01-02/9009 წერილის თანახმად, შპს "კავკასუს ონლაინის" პარტნიორის "გროუს მასთერ ჰოლდინგზ აისის" წილის 44%-ის სრულად შეძენის განზრახვა აქვს შპს "კავკასუს ონლაინის" პარტნიორსა და წილის 19,8%-ის მფლობელს "ნელგადო ლიმითედს".

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, შპს „კავკასუს ონლაინის" 2016 წლის 8 აგვისტოს №01-02/9009 წერილით წარმოდგენილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:
- შპს "კავკასუს ონლაინის" საქმიანობის სახე და სარეგისტრაციო მონაცემები;
- შპს "კავკასუს ონლაინის" შემოსავლები;
- შპს "კავკასუს ონლაინის" პარტნიორები და მათი წილობრივი მონაწილეობის ოდენობა;
- ცნობა შპს "კავკასუს ონლაინთან" ურთიერთდამოკიდებულ/აფილირებულ პირთა შესახებ;

შპს „კავკასუს ონლაინის" მიერ ასევე დამატებით წარმოდგენილ იქნა:
- შპს „კავკასუს ონლაინის" პარტნიორის თანხმობა, წერილი №01-02/9062. 13.09.2016.
- შპს „კავკასუს ონლაინის" პარტნიორის თანხმობა, წერილი №6/10423-16. 30.09.2016

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად შპს "კავკასუს ონლაინის" პარტნიორები არიან:
უცხოური საწარმო „International Online Networks LLC" ("ინტერნეიშენელ ონლაინ ნეთვორქს ლიმითიდი", ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კანონმდებლობის მიხედვით შექმნილი და მოქმედი კომპანია) – წილის 36,2%-ის მფლობელი;
"გროუს მასთერ ჰოლდინგზ აისი" (ჯერსიში, ჩენელის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია) - წილის 44%-ის მფლობელი;
"ნელგადო ლიმითედი" (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია) – წილის 19,8%-ის მფლობელი.

"ინტერნეიშენელ ონლაინ ნეთვორქს ლიმითიდის" პარტნიორი და წილის 100%-ის მფლობელია "ნელგადო ლიმითედი". თავის მხრივ "ნელგადო ლიმითედის" პარტნიორები და წილის

მფლობელები არიან: ფიზიკური პირი ხვიჩა მაქაცარია (წილის 30%-ის მფლობელი), ფიზიკური პირი რევაზ ელიავა (წილის 50%-ის მფლობელი), კომპანია „ნექსუს გროუპ ლიმითედი“ (წილის 20 %-ის მფლობელი). ამავე დროს, კომპანია „ნექსუს გროუპ ლიმითედის“ პარტნიორი და წილის 100%-ის მფლობელია ფიზიკური პირი დავით ზურაბიშვილი. რაც შეეხება “გროუს მასთერ ჰოლდინგზ აისის“, რომელსაც განზრახული აქვს შპს “კავკასუს ონლაინში“ წილის 44%-ის სრულად გაყიდვა, წარმოადგენს საინვესტიციო ფონდს, რომლის ინვესტორთა ვინაობა არ არის ცნობილი მესამე პირთათვის.

შპს “კავკასუს ონლაინის“ დირექტორია ნიკოლოზ ჭიაურელი.

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს “კავკასუს ონლაინის“, შპს “კავკასუს ონლაინის“ დირექტორის ნიკოლოზ ჭიაურელის, შპს “კავკასუს ონლაინის“ პარტნიორების, კომპანია “ინტერნეიშენელ ონლაინ ნეთვორქს ლიმითიდის“, კომპანია “ნელგადო ლიმითედის“, კომპანია “ნელგადო ლიმითიდის“ პარტნიორების - კომპანია “ნექსუს გროუპ ლიმითიდის“, ფიზიკური პირების: რევაზ ელიავას და ხვიჩა მაქაცარიას, კომპანია “ნექსუს გროუპ ლიმითიდის“ პარტნიორის დავით ზურაბიშვილის, აფილირებულობა დგინდება ავტორიზებულ პირ „რკინიგზის ტელეკომთან“. სხვა ავტორიზებულ პირებთან აფილირებულობა არ დგინდება.

შპს „კავკასუს ონლაინის“ 2016 წლის 8 აგვისტოს №01-02/9009 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „კავკასუს ონლაინი" აფილირებულია შემდეგ კომპანიებთან:

1) შპს „კავკასუს ქეიბელ სისტემ ბულგარია“ (ბულგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული პირი, რომელიც ახორციელებს საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას). შპს „კავკასუს ონლაინი“ ფლობს აღნიშნული კომპანიის წილის 100%-ს;

2) შპს „კავკასუს ქეიბელ სისტემ არმენია“ (სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს „კავკასუს ონლაინი“ ფლობს აღნიშნული კომპანიის წილის 100%-ს;

3) შპს „რკინიგზის ტელეკომი“, ავტორიზებული პირი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში. შპს „რკინიგზის ტელეკომის“ წილის 100%-ის მფლობელია არარეზიდენტი იურიდიული პირი „ნოვასტარ კომერს ლიმიტედ“, ხოლო „ნოვასტარ კომერს ლიმიტედის“ წილის 100%-ის მფლობელია შპს „კავკასუს ონლაინის“ ერთ-ერთი პარტნიორი “ნელგადო ლიმითედი“;

4) შპს „კარდენახი“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი. კომპანიის წილის 100%-ის მფლობელია შპს „კავკასუს ონლაინი“.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „კავკასუს ონლაინის" კუთვნილი საოპერაციო აქტივის შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ“ კომისიის 2015 წლის 19 ნოემბრის №712/11 გადაწყვეტილების თანახმად, შპს „მაგთიკომს“ მიეცა თანხმობა შპს „კავკასუს ონლაინის“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის (ძირითადი საშუალებები და აპარატურა, რომელიც გამოიყენება მაუწყებლობის ტრანზიტის (IPTV), ციფრული სატელეფონო (VOIP) და ინტერნეტის საცალო მომსახურების საკუთარი ბოლო მომხმარებლებისათვის) შეძენაზე. შესაბამისად, შპს „კავკასუს ონლაინის" შემოსავლების ფორმირება ხდება მხოლოდ საბითუმო მომსახურების ნაწილში.

კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის, ასევე შპს „კავკასუს ონლაინის" მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

შპს „კავკასუს ონლაინის" შემოსავლები და შესაბამისი ხვედრითი წილი 2015 წელს შეადგენდა:

საბითუმო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - ლოკალური და გლობალური ინტერნეტი: 1,846,996 ლარი (ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ხვედრითი წილი - 13%);

საბითუმო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საერთაშორისო ინტერნეტი: 621,717 ლარი (ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ხვედრითი წილი - 5%);

საბითუმო ხმოვანი მომსახურება - ურთიერთჩართვა არარეზიდენტ ოპერატორებთან: 8,419,130 ლარი (ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ხვედრითი წილი - 11%);

საბითუმო საკომუნიკაციო მომსახურება - არხების იჯარა: 23,089,178 ლარი (ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ხვედრითი წილი - 75%);

შპს „კავკასუს ონლაინის" შემოსავლები და შესაბამისი ხვედრითი წილი 2016 წლის 6 თვეში შეადგენდა:

საბითუმო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - ლოკალური და გლობალური ინტერნეტი: 1,004,271 ლარი (ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ხვედრითი წილი - 11%);

საბითუმო მონაცემთა გადაცემით/ინტერნეტით მომსახურება - საერთაშორისო ინტერნეტი: 391,557 ლარი (ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ხვედრითი წილი - 8%);

საბითუმო ხმოვანი მომსახურება - ურთიერთჩართვა არარეზიდენტ ოპერატორებთან: 6,833,128 ლარი (ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ხვედრითი წილი - 20%);

საბითუმო საკომუნიკაციო მომსახურება - არხების იჯარა: 8,240,356 ლარი (ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ხვედრითი წილი - 70%).

კომისია აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ტრანზაქციის განხორციელებამდე და ტრანზაქციის სავარაუდო განხორციელების შემდეგ, შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო წილი და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები უცვლელი რჩება, „ნელგადო ლიმითედის“ მიერ შპს “კავკასუს ონლაინის“ წილის 44%-ის შეძენის შემთხვევაში, აღნიშნული ტრანზაქცია ვერ მოახდენს რაიმე გავლენას ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს „ნელგადო ლიმითედის“ მიერ შპს “კავკასუს ონლაინის“ წილის 44%-ის შეძენაზე წინასწარ თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

ამასთან ერთად, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ შპს “მობიტელის“ მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ წილის 100%-ის შეძენაზე და შემდგომში შპს “მობიტელისა“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ შერწყმაზე წინასწარი თანხმობის გაცემის მიზნით, ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის კვლევის ფარგლებში, გამოიკვეთა შპს „კავკასუს ონლაინისა“ და შპს „მობიტელის“ კაპიტალში ბოლო ბენეფიციარ მესაკუთრეთა წილების ცვლილებები, რაც კომისიისათვის ცნობილი არ იყო. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შპს „კავკასუს ონლაინის“ ბოლო ბენეფიციარ მესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული წილის ან აქციების შეძენა და თუ მათი შეძენის შედეგად შემძენი პირის ან/და ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირთა მფლობელობაში ჯამში აღმოჩნდება ავტორიზებული პირის წილის ან აქციების 5 პროცენტი ან მეტი, შპს „კავკასუს ონლაინმა“ კომისიისაგან უნდა მოიპოვოს წინასწარი თანხმობა მოსალოდნელ ტრანზაქციასთან დაკავშირებით.

კომისიამ გაიზიარა კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის წინადადება იმის შესახებ, რომ შპს „კავკასუს ონლაინმა“ უნდა მოიპოვოს კომისიისაგან წინასწარი თანხმობა, თუ მომავალში მოხდება შპს „კავკასუს ონლაინის“ ბოლო ბენეფიციარ მესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული წილის ან აქციების შეძენა და თუ მათი შეძენის შედეგად შემძენი პირის ან/და ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირთა მფლობელობაში ჯამში აღმოჩნდება ავტორიზებული პირის წილის ან აქციების 5 პროცენტი ან მეტი.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს “კავკასუს ონლაინს“, შპს “კავკასუს ონლაინის“ წილის 44%-ის „ნელგადო ლიმითედის“ მიერ შეძენაზე;
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის შპს “კავკასუს ონლაინისათვის“ ჩაბარების დღიდან;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს “კავკასუს ონლაინისათვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
4. განემარტოს შპს “კავკასუს ონლაინს“, რომ „შპს “კავკასუს ონლაინის“ წილის 44%-ის „ნელგადო ლიმითედის“ მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ“ კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს “კავკასუს ონლაინი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;
5. შპს „კავკასუს ონლაინის“ ბოლო ბენეფიციარ მესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული წილის ან აქციების შეძენის განზრახვის შემთხვევაში, თუ მათი შეძენის შედეგად შემძენი პირის ან/და

ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირთა მფლობელობაში ჯამში აღმოჩნდება ავტორიზებული პირის წილის ან აქციების 5 პროცენტი ან მეტი, შპს „კავკასუს ონლაინმა“ წინასწარი თანხმობის მოპოვების მიზნით უნდა აცნობოს კომისიას მოსალოდნელი ტრანზაქციის თაობაზე;

6. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა) აღნიშნული გადაწყვეტილების შპს “კავკასუს ონლაინისათვის“ დაუყოვნებლივ გადაგზავნა;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე